

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანების საფუძველზე

სსიპ - კოლეჯის „აისი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის
განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33¹ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

1. სსიპ - კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობები. დაწესებულებას აქვს საერთო, კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.
2. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სირცემიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C; B და C ან A, B და C.
3. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.
4. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერთა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.
5. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.
6. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
 - 6.1. A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
 - 6.2. B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
7. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
8. მოდულში მოცემულია კოლეჯის ბალანსზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი. დაწესებულებას შეუძლია სხვაგვარად უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით, რაც მის მიერ დამტკიცებულ მოდულში აქვს მითითებული.
9. საწარმოო პრაქტიკის მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმების საფუძველზე.
10. 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.
11. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის განცხადებაში.

მუხლი 2. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები

წინამდებარე მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და რეესტრის წარმომხსენებლის სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას:
 - 1.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა რეგისტრაციის რაოდენობის შესახებ;
 - 1.2. კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილი და დასაქმება;
 - 1.3. სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები;
 - 1.4. შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა კონკრეტული მოთხოვნები.
2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - 2.1. პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის, სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული მისაღებ ადგილების რაოდენობის შესაბამისად;
 - 2.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
 - 2.3. IT პროგრამებში B სასწავლო გარემო წარმოადგენს C გარემოს;
 - 2.4. კოლეჯის მიერ სტუდენტთა კვოტა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:
 - ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
 - გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
 - დ) მოდულის განხორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.
 - 2.5. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;
 - 2.6. ზოგიერთი მოდულის განხორციელებისათვის, როგორცაა „ინფორმაციული წიგნიერება“, საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;
 - 2.7. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;
 - 2.8. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით) განხორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით;
 - 2.9. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის;
 - 2.10. 9 თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (9-10 თვის ჩათვლით) კვოტა განისაზღვრება 2 (2 საშემოდგომო, 1 საშემოდგომო და 1 საგაზაფხულო ან 2 საგაზაფხულო მიღების) ჯგუფით, (10-20) პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით;
 - 2.11. 10 თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტა განისაზღვრება 2 (2 საშემოდგომო, 1 საშემოდგომო და 1 საგაზაფხულო ან 2 საგაზაფხულო მიღების) ჯგუფით, (10-20) პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით, თუ დაკმაყოფილებულია ამ მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები. განმეორებითი მიღება (საშემოდგომო/საგაზაფხულო) შესაძლებელი იქნება მხოლოდ ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ან/და დარგობრივი/საერთო დარგობრივი მოდულის ამოწურვის შემდგომ, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა C გარემო;
 - 2.12. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.